<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის კალათბურთელი მიხეილ ქორქიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს კალათბურთელი მიხეილ ქორქიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X- 476,625.303
Y- 4,617,256.837
X- 476,708.218
Y- 4,617,262.869
X- 476,846.659
Y- 4,617,290.704
X- 476,792.255
Y- 4,617,248.866
X- 476,503.808
Y- 4,617,269.236
X- 476,720.813
Y- 4,617,252.605
X- 476,795.708
Y- 4,617,224.777



მიხეილ ქორქია
(1948-2004)
კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დაიბადა 1948 წელს 10 სექტემბერს ქ.ქუთაისში. 1965-79 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში". იყო მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972წ.), XXI ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1976 წ.მონრეალი), ევროპის ჩემპიონი (1971წ.), სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. ითვლებოდა "დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად. კალათბურთის ძველი გულშემატკივრები ერთხმად ადასტურებენ რომ ბრძოლის ჟინით და სპორტული აზარტით ყველას აღემატებოდა.

მიხეილ ქორქია იყო ლიდერი მოედანზე. ამას საფუძვლად ედო მაღალი ოსტატობა და სამაგალითო ტექნიკა. მან თითქმის 15 წელი ითამაშა თბილისის „დინამოში". დიდი კალათბურთიდან 1981 წლის 27 სექტემბერს გააცილეს. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მცირე ხანს მწვრთნელი იყო. ჯერ თბილისის „ბურევესტნიკს" ხელმძღვანელობდა, შემდეგ „დინამოს".

მიხეილ ქორქია ერთ-ერთია იმ ორი ქართველი კალათბურთელიდან, რომლებმაც უმაღლესი სპორტული ჯილდო-ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი აიღეს. მეორე ზურაბ საკანდელიძე იყო. ისინი ამ მედალს 1972 წელს მიუნხენში დაეუფლნენ.

გარდაიცვალა 2004 წლის 8 თებერვალს.